



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ფ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

19 04
„-----“ 2016 წელი

ფგზ N1

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგო“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N24/36

2012, 2013 და 2014 დასრულებული წლებისათვის

შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
გაცემული რეკომენდაციები.....	4
აუდიტის მიზანი	5
აუდიტის მასშტაბი	5
1. კომპანიის ზოგადი აღწერილობა	7
2. ბიზნესგეგმა.....	8
3. მიმდინარე ხარჯები.....	10
3.1 ადამიანური რესურსების მართვა და შრომის ანაზღაურება	10
3.2 სხვა ხარჯები	11
4. შესყიდვები	12
4.1 მონეტარული ზღვრების გაუთვალისწინებლად განხორციელებული შესყიდვები	12
4.2 ლიზინგის საშუალებით განხორციელებული შესყიდვები	14
4.3 შეუსაბამობა საკონკურსო კომისიის ოქმთან	15
აუდიტორთა ხელმოწერები	15

შემაჯამებელი მიმოხილვა

სს გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემაში „საქრუსენერგო“ (შემდგომ – კომპანია ან „საქრუსენერგო“) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არ ცხადდება რაიმე ტიპის კონკურსი. კონკურსის წესის დანერგვა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გაზრდის კვალიფიციური კადრების შერჩევის შესაძლებლობას.

კომპანიის გენერალურ დირექტორს ჰყავს 6 მრჩეველი და 1 კონსულტანტი, რომელთა ფუნქციები არც დებულებით და არც შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის. ასევე, არ არსებობს მათ მიერ გაწეული სამუშაოების დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი.

კომპანიის ცნობადობის ასამაღლებლად და ელექტროგადამცემი ხაზების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშესაწყობად საზოგადოების ინფორმირების მიზნით (ფიზიკური და იურიდიული პირების გაუფრთხილებელი საქმიანობა ელექტროგადამცემი ხაზების ქვეშ და მათი დაცვის ზონაში საფრთხეს უქმნიდა ელექტროგადამცემ ხაზებს) ქ. ბათუმში გამართულ ღონისძიებაზე ჯამურად დაიხარჯა 144,670 ლარი. ხელმძღვანელობის მიერ არ ყოფილა განხილული და დოკუმენტურად ასახული კონკრეტული მიზნის მიღწევის ალტერნატიული გზები, რაც ხელს შეუწყობდა ყველაზე ეფექტიანი და ეკონომიური გადაწყვეტილების მიღებას.

კომპანიამ შუშის იზოლატორები შეუსაბამოდ მაღალ ფასად შეისყიდა. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ იმავე პერიოდში შეძენილი ანალოგიური იზოლატორების ღირებულების გათვალისწინებით, კომპანია 2014 წელს დაზოგავდა 348,500 ლარს.

სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის აუცილებელი პროექტის მომზადების მიზნით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც არ გააჩნდა სათანადო გამოცდილება.

გაცემული რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1

სს გაერთიანებულმა ენერგეტიკულმა სისტემამ „საქრუსენერგომ“ შეიმუშაოს ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამსახურეთა დანიშვნის წესი, სადაც განსაზღვრული იქნება შერჩევის გამჭვირვალე, კონკურენტული მეთოდები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

რეკომენდაცია N2

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის „საქრუსენერგოს“ ხელმძღვანელობამ ორგანიზაციის შესაბამისი მიზნების მისაღწევად განიხილოს ალტერნატიული გზები, რაც უზრუნველყოფს რაციონალური არჩევანის შესაძლებლობას და ეკონომიური და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებას.

რეკომენდაცია N3

სს გაერთიანებულმა ენერგეტიკულმა სისტემამ „საქრუსენერგომ“ შესყიდვის განსახორციელებლად კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე განსაზღვროს მინიმალური ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო ხარისხის საქონლის ან მომსახურების შესყიდვას. ასევე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შესყიდვის განხორციელებამდე (მონეტარული ზღვრის ზემოთ) ჯეროვნად დაასაბუთოს და დოკუმენტურად ასახოს აღნიშნული ფორმით შესყიდვის აუცილებლობა, რაც ნათელს გახდის, რომ შესყიდვის ერთ პირთან მოლაპარაკების ფორმა არის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება.

რეკომენდაცია N4

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის „საქრუსენერგოს“ ხელმძღვანელობამ კომპანიის მიზნების მისაღწევად დაგეგმილი საქმიანობის ეფექტიანობის პრინციპებით წარმართვით მაქსიმალურად თავიდან აიცილოს შესყიდვების განხორციელება გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით.

აუდიტის მიზანი

სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო“ 2012, 2013 და 2014 წლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა: ბიზნესგეგმების პროექტების მომზადება, განხილვა და დამტკიცება; შემოსავლები; მიმდინარე და კაპიტალური დანახარჯები; შესყიდვები; ადამიანური რესურსების მართვა და შრომის ანაზღაურება; აქტივების მართვა.

კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“
- „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანება (შემდგომში „ბაზრის წესები“)
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის დადგენილება N33 „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“
- „საქრუსენერგოს“ გენერალური დირექტორის 2012 წლის 20 თებერვლის N13-07 და 2013 წლის 18 ნოემბრის N179-07 ბრძანებები „სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს შესყიდვების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

კომპანიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც გამორიცხავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI 4100).

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოებების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნის გამოსატანად.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

1. კომპანიის ზოგადი აღწერილობა

„საქრუსენერგო“ შეიქმნა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 22 მარტის ბრძანებულებისა და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 22 აგვისტოს N504 დადგენილების საფუძველზე. სამეწარმეო რეესტრში კომპანია რეგისტრირებულია 1996 წლის 27 მაისიდან შემდეგ მისამართზე: მარშალ გელოვანის გამზირი N2, თბილისი, საქართველო.

კომპანია ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომლის საწესდებო კაპიტალიდან 50%-ს (11,500 ცალი აქცია) ფლობს საქართველოს სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ხოლო დანარჩენ 50%-ს (11,500 ცალი აქცია) რუსეთის გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის ფედერალური საქსელო კომპანია „ლს გეს ფსკ“ (შემდგომში „ფსკ“).

„საქრუსენერგო“ წარმოადგენს საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის ერთ-ერთ მსხვილ ერთეულს, რომელიც მაღალი ძაბვის (220, 330, 500 კვ.) ელექტროგადამცემი ხაზებით ახდენს ელექტროენერგიის როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის გადაცემის მომსახურებას. მათი ნაწილი მდებარეობს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. აღნიშნული ქსელები საქართველოს აკავშირებს აზერბაიჯანთან, თურქეთთან, სომხეთთან და რუსეთთან. კომპანიის ბალანსზე ირიცხება შემდეგი ელექტროგადამცემი ხაზები:

- 500 კვ. ეგზ „კავკასიონი“ - საერთო სიგრძით 408 კმ. მათ შორის 306 კმ. რუსეთის ტერიტორიაზე.
- 500 კვ. ეგზ „ქართლი 1“ - სიგრძით 91 კმ.
- 500 კვ. ეგზ „ქართლი 2“ - სიგრძით 164 კმ.
- 500 კვ. ეგზ „იმერეთი“ - სიგრძით 127 კმ.
- 500 კვ. ეგზ „მუხრანი“ - სიგრძით 75 კმ.
- 500 კვ. ეგზ „მუხრანის ველი“ - სიგრძით 19.5 კმ.
- 330 კვ. ეგზ „გარდაბანი“ - სიგრძით 21 კმ.
- 220 კვ. ეგზ „აჭარა“ - სიგრძით 12 კმ.

კომპანიას საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიისგან მიღებული აქვს ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზია 2000 წლის 23 თებერვალს და არის უვადო. ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურების რეალიზაცია უზრუნველყოფილია იმით, რომ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურება ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი პირდაპირი ხელშეკრულებით ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურების ნასყიდობაზე. 2014 წლის 22 აგვისტოს სეწმეკის N31/5 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურების შესახებ პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, რის შედეგადაც ყველა კვალიფიციური საწარმო ავტომატურად ჩაითვალა აღნიშნული პირობების მხარედ. პირდაპირი ხელშეკრულებების სტანდარტული პირობები არ გამოიყენება ელექტროენერგიის ექსპორტთან და ტრანზიტთან დაკავშირებულ გადაცემის მომსახურებაზე. ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურების მოცულობა დამოკიდებულია მომხმარებლების მიერ ელექტროენერგიის მოხმარების დონეზე. ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი „საქრუსენერგოსთვის“ დადგენილია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის N33 დადგენილებით „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ და განისაზღვრება 0.18 თეთრი/კვტსთ-ით. იმპორტზე, ექსპორტზე და ტრანზიტზე ტარიფი დგინდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეების ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, სეწმეკის მონაწილეობის გარეშე.

„საქრუსენერგოს“ მართვის უმაღლეს ორგანოს წარმომადგენს აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა საერთო კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს 4 წლის ვადით, რომელიც შედგება 6 წევრისგან, საიდანაც 3 წარმომადგენელი საქართველოს მხრიდან არის დანიშნული, ხოლო 3 - რუსეთის მხრიდან. 2012-2014 წლებში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო რუსეთის მხარის წარმომადგენელი.

„საქრუსენერგოს“ სამეურნეო საქმიანობას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. იგი მართავს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას და ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს. გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად, მას ჰყავს 4 მოადგილე, 6 მრჩეველი და 1 კონსულტანტი. კომპანიის სტრუქტურული ქვედანაყოფებია: აღმოსავლეთ საქართველოს ელექტროგადამცემი ხაზების ექსპლოატაციისა და მშენებლობის სამსახური, დასავლეთ საქართველოს ელექტროგადამცემი ხაზების ექსპლოატაციისა და მშენებლობის სამსახური, ტექნიკური სამსახური, კომერციული აღრიცხვის სამსახური, ფინანსური რესურსების მართვის სამსახური, ცენტრალური ბუღალტერია, შიდა აუდიტის სამსახური, ლოჯისტიკისა და ტრანსპორტის სამსახური, საწყობი, კანცელარია, შესყიდვების სამსახური, უსაფრთხოების სამსახური, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაციული სამსახური, ქონების მართვისა და კორპორატიული ურთიერთობების სამსახური, პროექტირებისა და მშენებლობის სამსახური, ყარაჩაი-ჩერქეზეთის ფილიალი.

2. ბიზნესგეგმა

ყოველი წლის დასაწყისში საქრუსენერგოს სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ორგანიზაციის ბიზნესგეგმას, რომელიც მოიცავს კომპანიის მიერ განსახორციელებელი საქმიანობების ძირითად მიმართულებებს და საპროგნოზო ფინანსურ ანგარიშგებებს. 2012 და 2013 წლებში დამტკიცებული ბიზნესგეგმები დაკორექტირდა ერთხელ, 2012 წლის ბიზნესგეგმა - 10 დეკემბერს, ხოლო 2013 წელს - 20 ნოემბერს. 2014 წელს ბიზნესგეგმის კორექტირება არ მომხდარა. ყოველი წლის ბოლოს აქციონერთა საერთო კრებაზე განიხილება კომპანიის წლიური ანგარიში, სადაც ახსნილია შემოსავლების და დანახარჯების თითოეული მუხლიდან არსებული გადახრები და მათი მიზეზები და ხდება მისი დამტკიცება. თავდაპირველად დამტკიცებულ ბიზნესგეგმებსა და ფაქტიურად გაწეულ დანახარჯებს შორის შედარებისას გამოვლინდა გარკვეული სხვაობები, რისი ერთ-ერთი მიზეზი არის ისიც რომ, პერიოდის ბოლოს შეიცვალა ხარჯების კლასიფიკაცია. აღნიშნული სხვაობები ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია სხვაობა თავდაპირველ გეგმასა და ფაქტობრივ შესრულებას შორის:

დასახელება	2012			2013			2014		
	გეგმა	ფაქტი	სხვაობა	გეგმა	ფაქტი	სხვაობა	გეგმა	ფაქტი	სხვაობა
ამონაგები სულ	20,279,000	14,776,000	(5,503,000)	15,988,000	13,992,000	(1,996,000)	18,615,000	15,224,000	(3,391,000)
გადაცემა	19,329,000	14,173,000	(5,156,000)	15,788,000	13,849,000	(1,939,000)	17,815,000	14,527,000	(3,288,000)
მშ. შიდა გადაცემა	13,364,000	12,501,000	(863,000)	14,911,000	13,038,000	(1,873,000)	15,230,000	13,547,000	(1,683,000)
მშ. ექსპორტი, ტრანზიტი, იმპორტი	3,565,000	721,000	(2,844,000)	877,000	811,000	(66,000)	2,585,000	980,000	(1,605,000)
მშ. სხვა ექსპორტი	2,400,000	951,000	(1,449,000)	-	-	-	-	-	-
სხვა პროდუქციის რეალიზაცია	850,000	603,000	(247,000)	125,000	-	(125,000)	500,000	422,000	(78,000)
არაოპერაც. შემოსავლები	100,000	-	(100,000)	75,000	143,000	68,000	300,000	275,000	(25,000)
ხარჯები სულ	17,570,000	14,401,000	(3,169,000)	15,148,000	13,688,000	(1,460,000)	16,049,000	14,705,000	(1,344,000)
ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია	5,000,000	5,179,000	179,000	4,800,000	3,622,000	(1,178,000)	4,500,000	3,189,000	(1,311,000)
გასავალი რემონტებზე სულ	4,200,000	1,051,000	(3,149,000)	-	1,287,000	1,287,000	1,959,000	2,046,000	87,000
რუსეთის ფილიალი	700,000	-	(700,000)	700,000	-	(700,000)	-	-	-
შრომის ანაზღაურება	4,750,000	5,901,000	1,151,000	5,300,000	6,268,000	968,000	6,800,000	6,798,000	(2,000)
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები	300,000	-	(300,000)	-	31,000	31,000	40,000	53,000	13,000
სემინარები, კონფერენციები და სხვა	-	-	-	-	90,000	90,000	100,000	8,000	(92,000)
აუდიტორული და სხვა საკონსულტაციო მომსახურება	200,000	261,000	61,000	120,000	98,000	(22,000)	175,000	89,000	(86,000)
წარმომადგენლობითი ხარჯები	30,000	1,000	(29,000)	30,000	32,000	2,000	180,000	33,000	(147,000)
სამივლინებო ხარჯები	100,000	287,000	187,000	250,000	397,000	147,000	400,000	336,000	(64,000)
დაზღვევის ხარჯები	40,000	67,000	27,000	30,000	144,000	114,000	75,000	109,000	34,000
შენობის იჯარა	150,000	183,000	33,000	170,000	243,000	73,000	250,000	301,000	51,000
საოფისე შენობების მომსახურება, კომუნალური ხარჯები და სხვა	300,000	123,000	(177,000)	400,000	152,000	(248,000)	230,000	184,000	(46,000)
ტექნიკური უსაფრთხოებისა და კადრების გადამზადების ხარჯები	90,000	-	(90,000)	80,000	10,000	(70,000)	40,000	10,000	(30,000)
ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მომსახურება	500,000	449,000	(51,000)	700,000	416,000	(284,000)	600,000	399,000	(201,000)
ქველმოქმედება	-	4,000	4,000	-	-	-	-	-	-
სხვა	-	389,000	389,000	-	-	-	-	-	-
ხარჯები მასალებზე	-	-	-	1,387,000	-	(1,387,000)	-	-	-
გადასახადები სულ	40,000	-	(40,000)	40,000	375,000	335,000	100,000	288,000	188,000
რეზერვების, საექვო ვალების ხარჯები	320,000	-	(320,000)	-	-	-	-	-	-
კრედიტის საპროცენტო გადასახადი	400,000	506,000	106,000	200,000	237,000	37,000	-	387,000	387,000
მატერიალური დახმარება	-	-	-	-	20,000	20,000	100,000	97,000	(3,000)
საკონტრაქტო ორგანიზაციები ფორს მაჟორულ სიტუაციაში	-	-	-	400,000	-	(400,000)	-	-	-
გაუთვალისწინებელი	450,000	-	(450,000)	541,000	266,000	(275,000)	500,000	378,000	(122,000)
მოგება დაბეგვრამდე	-	-	-	-	304,000	304,000	-	519,000	519,000
გადავადებული მოგების გადასახადი	-	-	-	-	58,000	58,000	-	150,000	150,000
მოგება სულ	2,709,000	375,000	(2,334,000)	840,000	246,000	(594,000)	2,566,000	369,000	(2,197,000)

3. მიმდინარე ხარჯები

3.1 ადამიანური რესურსების მართვა და შრომის ანაზღაურება

- გენერალურ დირექტორს ჰყავს 6 მრჩეველი და 1 კონსულტანტი, რომლებიც არ მიეკუთვნებიან არც ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფს და მათი ფუნქციებიც დებულებით განსაზღვრული არ არის. მრჩეველის შრომის ანაზღაურება შეადგენს თვეში 3,000 ლარს, ხოლო კონსულტანტის - 5,000 ლარს. შრომითი ხელშეკრულებებით არ არის განსაზღვრული მათი კონკრეტული ფუნქცია-მოვალეობები თუ რა ტიპის სამუშაოების შესასრულებლად არიან ისინი დაქირავებულნი. კომპანიაში არ არსებობს მათ მიერ გაწეული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა გენერალური დირექტორის განმარტებით იგი მათგან ზეპირსიტყვიერ რჩევებს იღებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2012-2014 წლებში კომპანიის მიერ შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯები:

	2014	2013	2012
სულ სახელფასო ხარჯები	6,802,000	6,268,000	5,901,000
მათ შორის:			
სულ პრემია	1,722,879	1,711,259	1,563,337
მენეჯმენტის ხელფასი ¹	1,080,513	1,042,927	1,148,243
მენეჯმენტის პრემია	359,500	319,565	276,763

- 2012 წლის დასაწყისში „საქრუსენერგოს“ საშტატო განრიგით გათვალისწინებული მომუშავეთა რაოდენობა განსაზღვრული იყო 162 ერთეულით. 2012-2014 წლებში საშტატო განრიგი რამდენჯერმე შეიცვალა, რის შედეგადაც 2014 წლის ბოლოს შტატით მომუშავეთა რაოდენობა 2012 წლის დასაწყისთან შედარებით 55 ერთეულით გაიზარდა და 217 შეადგინა. აღნიშნული ცვლილებებით კომპანიის სტრუქტურულ ერთეულებს დაემატა 2 სამსახური (ქონების მართვისა და კორპორატიული ურთიერთობების და პროექტირებისა და მშენებლობის სამსახურები). მომუშავეთა გაზრდილი რაოდენობიდან 21 ერთეული საშუალო ან მაღალი რგოლის მენეჯერები არიან.

„საქრუსენერგოს“ გენერალური დირექტორის 2015 წლის 23 ოქტომბრის N156-10 ბრძანებით დამტკიცდა თანამშრომელთა ატესტაციის ჩატარების წესი, რომლის ერთ-ერთ მიზანს წრმოადგენს პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებების შესაბამისობის განსაზღვრა დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არ ცხადდება რაიმე ტიპის კონკურსი. კონკურსის წესის დანერგვა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გაზრდის კვალიფიციური კადრების შერჩევის შესაძლებლობას.

რეკომენდაცია N1

სს გაერთიანებულმა ენერგეტიკულმა სისტემამ „საქრუსენერგომ“ შეიმუშაოს ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამსახურეთა დანიშვნის წესი, სადაც განსაზღვრული იქნება შერჩევის გამჭვირვალე, კონკურენტული მეთოდები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

¹ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილეები, მრჩეველები, კონსულტანტი.

3.2 სხვა ხარჯები

2013 წლის 16-18 აგვისტოს სს "საქრუსენერგომ" ჩაატარა პრეზენტაცია ქ. ბათუმში. კომპანიის განმარტებით, აღნიშნული ღონისძიების ძირითადი მიზანი იყო კომპანიის ცნობადობის ამაღლება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზების ქვეშ და მის დაცვის ზონაში ფიზიკური და იურიდიული პირების გაუფრთხილებელი საქმიანობის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობის განმარტებით აღნიშნული საქმიანობები ხელს უშლიდა ელექტროგადამცემი ხაზების ნორმალურ ექსპლოატაციას და საფრთხის ქვეშ აყენებდა ქვეყნის ენერგეტიკულ მდგომარეობას. გარდა აღნიშნულისა, ქ. ბათუმში ჩატარებული ღონისძიება მიზნად ისახავდა კომპანიის ახალი ხელმძღვანელობის მიერ არსებული მდგომარეობის და სამომავლო გეგმების, სპეცტექნიკისა და მოწყობილობების, განახლებული ლოგოს და მთლიანი ბრენდბუქის პრეზენტაციას ენერგეტიკის სამინისტროსთვის, ენერგეტიკული დარგისა და პრესის წარმომადგენელთათვის.

აღნიშნული ღონისძიების ჩასატარებლად კომპანიამ ჯამურად 144,670 ლარის ხარჯი გაწია, მათ შორის: 16-18 აგვისტოს სასტუმრო „რედისონ ბლუ ბათუმში“ საკონფერენციო დარბაზის დაქირავებაზე, სადილის და ღია აუზზე საზეიმო ვახშამის მომზადებაზე, ასევე, მოწვეული სტუმრებისთვის გადახდილ იქნა 30 სასტუმრო ნომრის ღირებულება 57,261 ლარი, 16 აგვისტოს სასტუმრო "რედისონ ბლუ ბათუმში", ხოლო 17 აგვისტოს რესტორან "ყირამალაში" გაიმართა საკონცერტო-გასართობი ღონისძიებები – ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ 22,723 ლარი შეადგინა, 17 აგვისტოს რესტორან „ყირამალაში“ გაიმართა ვახშამი 100 პერსონაზე ღირებულებით 10,230 ლარი, ღონისძიების მომზადებასა და მასში მონაწილეობის მისაღებად კომპანიის 36 თანამშრომელზე გაწეულმა სამივლინებო ხარჯებმა ჯამურად 26,899 ლარი შეადგინა.

კომპანიის ხელმძღვანელობის განმარტებით, აღნიშნულ ღონისძიებებს გამოხმაურება მოჰყვა ტელევიზიაში, ბეჭდვით მედიასა და ინტერნეტ გამოცემებში და ამის გამო მკვეთრად იკლო ელექტროგადამცემ ხაზებზე ვანდალიზმის ფაქტებმა და სხვა სახის უკანონო ქმედებებმა.

აუდიტიდან გამომდინარე აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ტელევიზიით რეზონანსის შესახებ გასული სიუჟეტი არ შეეხებოდა უშუალოდ ზემოხსენებული ვანდალიზმის პრობლემატიკას, რომლის შედეგად გამოწვეული საფრთხეების შესახებ ცნობიერების ამაღლება, კომპანიის ხელმძღვანელობის განმარტებით, წარმოადგენდა მის მიერ ჩატარებული ღონისძიების მიზანს. ამასთან, ინტერნეტ გამოცემებსა და ბეჭდურ მედიაში განთავსებული იქნა ორი სტატია, რომლებშიც მოცემული იყო ინფორმაცია უშუალოდ ელექტროგადამცემი ხაზების შეუფერხებლად ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

ხელმძღვანელობის მიერ არ ყოფილა განხილული და დოკუმენტურად ასახული კონკრეტული მიზნის მიღწევის ალტერნატიული გზები, რაც ხელს შეუწყობდა ყველაზე ეფექტიანი და ეკონომიური გადაწყვეტილების მიღებას.

რეკომენდაცია N2

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის „საქრუსენერგოს“ ხელმძღვანელობამ ორგანიზაციის შესაბამისი მიზნების მისაღწევად განიხილოს ალტერნატიული გზები, რაც უზრუნველყოფს რაციონალური არჩევანის შესაძლებლობას და ეკონომიური და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებას.

4. შესყიდვები

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სახელმწიფო ფლობს კომპანიის აქციათა მხოლოდ 50%-ს, მასზე არ ვრცელდება საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. კომპანია შესყიდვებს ახორციელებს გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, შესყიდვების წლიური გეგმის მიხედვით, რომელიც დგება კომპანიის წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური ბიზნესგეგმის საფუძველზე. წლის განმავლობაში ბიზნესგეგმის პარამეტრების ცვლილების შემთხვევაში, მტკიცდება შესყიდვების კორექტირებული გეგმა. შესყიდვების განხორციელების წესი ითვალისწინებს შესყიდვის 2 საშუალებას - ერთ პირთან მოლაპარაკებასა და ფასთა გამოკითხვას (კონკურსი). დაწესებულია მონეტარული ზღვარი და თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 30,000 ლარს², გამოიყენება ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია 2012-2014 წლებში განხორციელებული შესყიდვების სტატისტიკა:

	2012		2013		2014	
	ხელშ. ღირებულება	ფაქტიური ხარჯი	ხელშ. ღირებულება	ფაქტიური ხარჯი	ხელშ. ღირებულება	ფაქტიური ხარჯი
კონკურსი	587,236 GEL	484,810 GEL	1,856,155 GEL	1,779,635 GEL	292,936 GEL	154,818 GEL
	2,520 USD	2,520 USD			106,000 USD	105,700 USD
					760,550 RUB	760,550 RUB
	2,712,000 GEL	2,137,690 GEL	3,041,669 GEL	3,008,875 GEL	1,670,164 GEL	1,314,638 GEL
ერთ პირთან	836,874 USD	836,874 USD	247,611 EUR	247,611 EUR	599,000 USD	599,000 USD
მოლაპარაკება	412,117 EUR	412,117 EUR				
	4,538 RUB	4,538 RUB				

4.1 მონეტარული ზღვრების გაუთვალისწინებლად განხორციელებული შესყიდვები

- 2012 წლის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იყო რამდენიმე სპეციალური ტექნიკის შეძენა: 1 ამავე სავარაუდო ღირებულებით 600,000 ლარი, 1 ბულონოზერი სავარაუდო ღირებულებით 1,000,000 ლარი და 2 მაღალი გამავლობის სამხიდიანი 25 ადგილამდე სამგზავრო ავტობუსი სავარაუდო ღირებულებით 150,000 ლარი. აღნიშნული მანქანა-დანადგარების შეძენის მიზნით ჩატარებული სამუშაო თათბირის ოქმში დაფიქსირებულია, რომ მონაცემებისა და შემოთავაზებების შესწავლის შედეგად, საერთაშორისო ბაზარზე არსებული მომწოდებლებიდან კომპანიის მოთხოვნებს ყველაზე მეტად შეესაბამება ამერიკული კომპანია „კატერპილარის“ მიერ წარმოებული ბულონოზერის მოდელი D8R, „ლიფტერის“ ფორმის ავტოამწე მოდელი LTM 1040-2.1 და სავახტო ავტობუსი „კამაზის“ ბაზაზე. ასევე აღინიშნა, რომ სასურველი იყო ამ ტექნიკის შესაძლოდ მოკლე ვადებში შეძენა. დაადგინეს, რომ მიზანშეწონილი იყო ეწარმოებინათ პირდაპირი მოლაპარაკებები აღნიშნული კომპანიების რეგიონალურ წარმომადგენლებთან და ემოქმედათ „საქრუსენერგოს“ შესყიდვების განხორციელების წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, საზოგადოების ხელმძღვანელის წერილობითი დავალების საფუძველზე, შესყიდვის განხორციელებას ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. შედეგად, 2012 წლის აპრილისა და მაისის თვეებში გაფორმდა ხელშეკრულებები ბულონოზერის

² 2013 წლის 18 ნოემბრამდე აღნიშნული ზღვარი შეადგენდა 20,000 ლარს.

შესყიდვაზე - 771,720 აშშ. დოლარი, თვითმავალი ამწის შესყიდვაზე - 394,200 ევრო და სავახტო ავტობუსის შესყიდვაზე - 344,000 ლარი.

კომპანიის პასუხისმგებელი პირების განმარტებით ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შესყიდვის განხორციელება გამომდინარეობდა იქიდან, რომ აღნიშნული ტექნიკა ყველაზე მეტად შეესაბამებოდა კომპანიის საჭიროებებს და იყო ყველაზე ხარისხიანი. თუმცა, არ ყოფილა დეტალურად განსაზღვრული თუ ხარისხის რა კონკრეტული მახასიათებლები აკმაყოფილებდა კომპანიის საჭიროებებს.

- 2013 წლის 6 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასთან“ უნაგირი საწვევარა MAN TGS 33.480 6X4 და ნახევრად მისაბმელიანი ლაფეტი "FAYMONVILLE 5-axle MULTIMAX"-ის შესყიდვაზე. ხელშეკრულების ღირებულებამ 239,540 ევრო შეადგინა. შესყიდვების განხორციელების დამტკიცებული წესის თანახმად, შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო ფასთა გამოკითხვის (კონკურსის) მეთოდით, თუმცა იგი განხორციელდა ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

ორგანიზაციის განმარტებით, აღნიშნული ტექნიკა შეირჩა მისი ტექნიკური მახასიათებლების და შემოთავაზებული უმცირესი ფასის მიხედვით, თუმცა ბაზრის შესწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი.

რეკომენდაცია N3

სს გაერთიანებულმა ენერგეტიკულმა სისტემამ „საქრუსენერგომ“ შესყიდვის განსახორციელებლად კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე განსაზღვროს მინიმალური ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო ხარისხის საქონლის ან მომსახურების შესყიდვას. ასევე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შესყიდვის განხორციელებამდე (მონეტარული ზღვრის ზემოთ) ჯეროვნად დაასაბუთოს და დოკუმენტურად ასახოს აღნიშნული ფორმით შესყიდვის აუცილებლობა, რაც ნათელს გახდის, რომ შესყიდვის ერთ პირთან მოლაპარაკების ფორმა არის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება.

- 2014 წლის 20 თებერვალს, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, გაფორმდა ხელშეკრულება რუსულ კომპანია „იუმეკ ჯგუფთან“, ღირებულებით 599,000 აშშ დოლარი. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა 23,000 ცალი 3 სახეობის შუშის იზოლატორი. აღნიშნული ხელშეკრულების ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმებას საფუძვლად დაედო 2014 წლის 17 იანვრის მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც 2014 წელს შესასრულებელი სამუშაოებისათვის სასწრაფო წესით საჭირო იყო იზოლატორების შეძენა. მათი ძირითადი ნაწილი უნდა მოხმარებოდა ეგზ „ქართლი 2“-ზე 10 აპრილიდან 30 აპრილამდე დაგეგმილ სამუშაოებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ელექტროგადამცემ ხაზზე იზოლატორების გამოცვლის საჭიროება „საქრუსენერგოსთვის“ ცნობილი იყო 2013 წელსაც, რაც დასტურდება გენერალური დირექტორის მოადგილის 2013 წლის 16 სექტემბრის სამსახურებრივი ბარათით, რომლითაც განსაზღვრულია 2014 წელს საექსპლოატაციო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად შესაძენი მასალა-მოწყობილობების ჩამონათვალი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეგზ „ქართლი 2“-ზე სარემონტო სამუშაოების 10 აპრილიდან 30 აპრილამდე ჩატარება თავად „საქრუსენერგოს“ მიერ იქნა შეთავაზებული 2013 წლის სექტემბერში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის“, ხოლო შემდგომ ისევ „საქრუსენერგოს“ განაცხადით მოთხოვნილი იქნა აღნიშნული სამუშაოების 28 მარტიდან 17 აპრილამდე პერიოდში გადმოტანა.

„საქრუსენერგოსგან“ მიღებული ინფორმაციით, 2014 წლის 20 თებერვლის ხელშეკრულების ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით გაფორმების აუცილებლობა გამოწვეული იყო 2013 წლის 22

ივლის კონკურსის საშუალებით შპს „ენერგეტიკულ ალიანსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელს 2013 წლის 25 სექტემბრამდე უნდა უზრუნველყო 15,000 ცალი იზოლატორის მიწოდება, რაც ვერ განხორციელა. ამ მომწოდებლისგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული 15,000 იზოლატორის ნაცვლად 2013 წლის 27 დეკემბერს მიღებული იქნა მხოლოდ 1,330 ცალი იზოლატორი. შპს „ენერგეტიკულ ალიანსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით ჩინური წარმოების πс-160 ტიპის ერთი იზოლატორის ფასი შეადგენდა 23.5 ლარს.

„საქრუსენერგოსგან“ მიღებული ინფორმაციით, 2014 წელს იზოლატორების შესყიდვის ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით განხორციელების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა ხშირ შემთხვევაში კონკურსებში შემოთავაზებული ჩინური იზოლატორების დაბალი ფასი, რის გამოც, დაბალი ფასის პრინციპიდან გამომდინარე, რუსული და ირანული იზოლატორები მათ კონკურენციას ვერ უწევდნენ. შესყიდვების წესის მიხედვით „საქრუსენერგოს“ შეეძლო თავად განესაზღვრა არანაკლებ 3 სანდო და კვალიფიციური კომპანია, რომელსაც გაეგზავნებოდა მოწვევა კონკურსში მონაწილეობის შესახებ.

შპს „ენერგეტიკულ ალიანსთან“ დადებული ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2013 წლის 31 დეკემბერს. აღნიშნული თარიღიდან კონკურსის გამოცხადებაზე მუშაობის დაწყების შემთხვევაში კომპანიას სრული შესაძლებლობა ექნებოდა თავიდან აეცილებინა ფორსმაჟორული ვითარების გამო ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შესყიდვის განხორციელება.

„საქრუსენერგომ“ πс-160 ტიპის იზოლატორში შპს „იუმეკ ჯგუფს“ 2014 წლის 20 თებერვლის ხელშეკრულების შესაბამისად გადაუხადა 44 ლარი³, ხოლო სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ იმავე პერიოდში⁴ იგივე ტიპის რუსული წარმოების იზოლატორი შეძენილია 25 ლარად⁵. შედარება განხორციელდა ასევე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2013 წლის 10 აპრილის ხელშეკრულებასთან. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში იგივე ტიპის იზოლატორის ერთეულის ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 27 ლარს⁶.

აღსანიშნავია, რომ „საქრუსენერგოს“ მიერ შეძენილია πс-160 ტიპის 20,500 ცალი იზოლატორი. იმ შემთხვევაში, თუ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მსგავსად იზოლატორები შესყიდული იქნებოდა 27 ლარად, კომპანია დაზოგავდა 348,500 ლარს.

რეკომენდაცია N4

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის „საქრუსენერგოს“ ხელმძღვანელობამ კომპანიის მიზნების მისაღწევად დაგეგმილი საქმიანობის ეფექტიანობის პრინციპებით წარმართვით მაქსიმალურად თავიდან აიცილოს შესყიდვების განხორციელება გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით.

4.2 ლიზინგის საშუალებით განხორციელებული შესყიდვები

„საქრუსენერგომ“ 2012-2014 წლებში შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიისაგან“ ლიზინგის ხელშეკრულებებით შეიძინა სხვადასხვა სახის 14 სატრანსპორტო საშუალება და 2 სამშენებლო მანქანა-მექანიზმი. 2012 წელს ასევე განხორციელდა 2011 წელში ლიზინგით შეძენილი 6 ავტომანქანის ღირებულების ნაწილის გადახდა. 2012-2014 წლებში ლიზინგით შეძენილი სატრანსპორტო და

³ 25.5 აშშ დოლარი

⁴ 2014 წლის 12 მარტის ხელშეკრულებით

⁵ 535 რუსული რუბლი

⁶ 528 რუსული რუბლი

სამშენებლო მანქანების ჯამური ღირებულება შეადგენდა 632,567 აშშ დოლარს. აქედან პირველადი შენატანი შეადგენდა 223,056 აშშ დოლარს, ხოლო დანარჩენი თანხის გადახდა საპროცენტო ხარჯთან ერთად განხორციელდა ყოველთვიური გრაფიკების მიხედვით. ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა-მექანიზმების შესყიდვისათვის ლიზინგის გამოყენების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა კომპანიის მიერ კონკრეტული მწარმოებლებისათვის უპირატესობის მინიჭება. მაგალითად, 2012 წლის 24 მაისის მოხსენებითი ბარათით, კომპანიის გენერალური დირექტორის მრჩეველი ითხოვს კონკრეტული ფირმის ავტომანქანის (Toyota Landcruiser Prado) შეძენას. ზემოხსენებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე შეძენილი იქნა 66,227 აშშ დოლარის ღირებულების ავტომანქანა, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტს თან არ ახლავს მანქანის კომპლექტაციის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი. კომპლექტაციის და სპეციფიკაციების დამადასტურებელი ტექნიკური დოკუმენტაცია ვერც სხვა ავტომობილებზე იქნა წარმოდგენილი.

საჭირო მანქანა-მექანიზმების შესასყიდად კომპანიას შეეძლო განესაზღვრა ავტომანქანებისთვის საჭირო მოთხოვნები და სპეციფიკაციები და კონკურენტულ გარემოში განეხორციელებინა შესყიდვა.

4.3 შეუსაბამო საკონკურსო კომისიის ოქმთან

2013 წლის 12 აგვისტოს „საქრუსენერგოს“ და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე „საქრუსენერგოს“ აღნაგობის უფლებით გადაეცა მიწა 7,490 კვ.მ. ქ. თბილისში, ხევძმარის ქ. 1-ში. აღნიშნულ მიწაზე დაგეგმილია კომპანიის ოფისისა და სამეურნეო ფართების მშენებლობა. სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის აუცილებელი პროექტის მომზადების მიზნით გამოცხადდა კონკურსი. 2013 წლის 10 დეკემბრის კომისიის N22 ოქმის მიხედვით, მოწვევა უნდა გაგზავნილიყო მინიმუმ 3 შესაბამისი გამოცდილების მქონე კომპანიასთან. „საქრუსენერგოს“ მოწვევის შემდეგ, წინადადებები წარმოადგინეს შემდეგმა პრეტენდენტებმა: შპს „GMC სერვისი“-120,000 ლარი, შპს „არტსტუდიო“-125,000 ლარი და შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი“-135,000 ლარი. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „GMC სერვისი“. გაურკვეველია, რა კრიტერიუმებით შეირჩა ზემოთ აღნიშნული პრეტენდენტები შემფასებელი კომისიის მიერ, როცა გამარჯვებული შპს დაარსებულია კონკურსამდე 1 წლით ადრე და ასევე კომისიისთვის დოკუმენტურად უცნობი იყო ინფორმაცია მათი გამოცდილების და პროფესიული კვალიფიკაციის შესახებ. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხელშეკრულება შპს „GMC სერვისთან“ გაფორმდა 2013 წლის 31 დეკემბერს, ხოლო შრომითი ხელშეკრულებები არქიტექტორებთან საპროექტო კომპანიამ კონკრეტულად აღნიშნული პროექტის შესასრულებლად გააფორმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის შემდეგ 2014 წლის 1 თებერვალს.

აუდიტორთა ხელმოწერები

ბესიკ ქოჩიაშვილი

ირაკლი ვაშაყმაძე

ნინო ქაშიბაძე

ალექსანდრე მღებრიშვილი

ტატო გულიაშვილი